საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004142

„23“ მაისი 2025 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი ვ. ნიკოლაძის I ჩიხი №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ჯეო ლუქსი“ (ს/ნ 406313341)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

იურ. მის: ქ. თბილისი, დიღმის დასახლება IV კვ. კორპ 2 ბინა №17; ფაქტ. [illegible] [redacted]
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

[redacted]; მინისტრის 2021 წლის 17 მაისის №2-668 ბრძანებით გაცემული მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №2-133 ბრძანებით შეცვლილი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ლიცენზია №100; 5.11.2008)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004142

ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ N004142 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 5 ფურცელი
(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 73^8 მუხლის [illegible] პირველი ნაწილის
(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)
და ამავე კოდექსის 73^7 მუხლის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
(თანამდებობა, სახელი, გვარი)
[illegible] მთავარი - მთავარი სპეციალისტი [illegible] ნინო [illegible]

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]
(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2025 წლის 23 მაისის №004142 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 3 ივლისის №DES42400000297 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხში განთავსებული, შპს „ჯეო ცემენტი"-ს (ს/კ 406313341) კუთვნილი ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 17 მაისის № 2-668 ბრძანებით გადაცემული მინისტრის 2021 წლის 29 იანვრის №2-133 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2009 წლის 5 ნოემბრის №100 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2009 წლის 5 ნოემბრის №100 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობის** შესაბამისად, შპს „ჯეო ცემენტი" საქმიანობას არ ახორციელებს გზშ ანგარიშით წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის შესაბამისად. კერძოდ:

1.1. კომპანიას არ გააჩნია შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან (სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტო) შეთანხმებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი";

1.2. გზშ ანგარიშის შესაბამისად, კომპანიას შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებით არ აქვს შემუშავებული სპეციალური ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია. ასევე, კომპანიას არ გააჩნია გზშ ანგარიშით გათვალისწინებული, ხანძარსაწინააღმდეგო მეურნეობა კერძოდ:

1.2.1 საწარმოში არ არის მოწყობილი სახანძრო ზედამხედველობის ოთახი და სათავსო სახანძრო ინვენტარის შესანახად;

1.2.2 არ აქვს მოწყობილი ხანძარსაწინააღმდეგო წყლის ავზი შესაბამისი მილგაყვანილობით და ჰიდრანტებით;

1.2.3 სახანძრო სტენდები სრულყოფილად არ არის აღჭურვილი სათანადო ინვენტარით;

1.2.4 საწარმოს არ გააჩნია გამართულ/ვარგის მდგომარეობაში მყოფი ცეცხლმაქრების საკმარისი რაოდენობა;

1.3. ინსპექტირებით დადგინდა, რომ საწარმოში არ ხორციელდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება. შესაბამის ადგილებზე არ არის განთავსებული ნარჩენების შეგროვებისათვის განკუთვნილი სათანადო მარკირების მქონე კონტეინერები. ამასთან, არ ხდება წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვა/მონიტორინგი და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება, ასევე მათი შემდგომი მართვის მიზნით (გადამუშავება ან/და გაუვნებლობა) კომპანიას არ აქვს

გაფორმებული ხელშეკრულება შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე ორგანიზაციას(ებ)თან;

1.4. საწარმოს ტერიტორიაზე არ არის დამონტაჟებული ლითონის მეხამრიდები;

1.5. გზშ ანგარიშის შესაბამისად, შპს „ჯეო ცემენტი"-ს არ აქვს შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის (მონიტორინგის) გეგმა. ასევე, არ არის წარმოდგენილი (ატმოსფერული ჰაერისა და ხმაურის) მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) დამადასტურებელი დოკუმენტაცია, როგორც საწარმოს, ისე საწარმოდან 500 მეტრით დაშორებულ ტერიტორიაზე;

2. კომპანიას არ გააჩნია, 2009 წლის 5 ნოემბრის №100 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მეორე პირობით** გათვალისწინებული, გამწმენდი სისტემის მუშაობის ეფექტურობის პერიოდული შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი;

3. შემოწმების შედეგად დადგინდა შპს „ჯეო ცემენტი"-ს მიერ განხორციელდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილება - ცემენტის საწარმოს წარმადობის გაზრდა 60 000 ტონიდან 120 000 ტონამდე, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გავლისა და შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების გარეშე. ასევე, ძველი (არსებული) საფქვავი დანადგარისა და მისი ინფრასტრუქტურის კაპიტალური შეკეთება-განახლების ფარგლებში განხორციელდა მწყობრიდან გამოსული ძველი სისტემის ფილტრის შეცვლა ახალი სისტემის სახელოიანი ფილტრით (რომელშიც განთავსებული იქნება 96 სახელო). ასევე, დაემატა ორი ერთეული შნეკური კონვეიერი, რომელმაც ჩაანაცვლა პნევმო ტრანსპორტიორი და სისტემას დაემატა სეპარატორი. აღნიშნული ცვლილებებმა გამოიწვია შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან (სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტო) შეთანხმებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით" გათვალისწინებული პარამეტრების ცვლილება;

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, შპს „ჯეო ცემენტი"-ს მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად შედგა შემდეგი ოქმები:

- 2024 წლის 25 ივლისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №089507 ოქმი;
- 2024 წლის 25 ივლისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №089508 ოქმი;
- 2024 წლის 25 ივლისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 76^1 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №089509 ოქმი.

ოქმები, თანდართული მასალებით, განსახილველად გადაეგზავნა კასპის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 16 სექტემბრის №4/145-24 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილით, 79^7 მუხლის პირველი ნაწილით და 76^1 მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 40 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ჯეო ცემენტი"-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2025 წლის 23 მაისის №004142 ადმინისტრაციული მიწერილობა.

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხში განთავსებული, შპს „ჯეო ცემენტი“-ს (ს/კ 406313341) კუთვნილ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 17 მაისის № 2-668 ბრძანებით გადაცემული, მინისტრის 2021 წლის 29 იანვრის №2-133 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2009 წლის 5 ნოემბრის №100 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, შპს „ჯეო ცემენტი“ **ვალდებულია:**

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან საქმიანობა განახორციელოს გზშ ანგარიშით წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის შესაბამისად (2009 წლის 5 ნოემბრის №100 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობა**). მათ შორის:

   1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარადგინოს არსებული/ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შემუშავებული, „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“. ხოლო შემდგომ უზრუნველყოს შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობის პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

   1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში**, შეიმუშაოს და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში წარადგინოს სპეციალური ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია;

   1.3. მოაწყოს გზშ ანგარიშით გათვალისწინებული, ხანძარსაწინააღმდეგო მეურნეობა კერძოდ:

1.3.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში**, უზრუნველყოს სახანძრო ზედამხედველობის ოთახისა და სახანძრო ინვენტარის შესანახი სათავოს მოწყობა;

1.3.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში**, უზრუნველყოს ხანძარსაწინააღმდეგო წყლის ავზის მოწყობა, შესაბამისი მილგაყვანილობით და ჰიდრანტებით;

1.3.3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში**, სახანძრო სტენდები აღჭურვოს სათანადო ინვენტარით, მათ შორის გამართულ/ვარგის მდგომარეობაში მყოფი ცეცხლმაქრებით;

1.4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში,** საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების შესაგროვებლად, საწარმოს ტერიტორიაზე, განათავსოს შესაბამისი მარკირების მქონე სათანადო რაოდენობის კონტეინერები;

1.5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს** წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვა/მონიტორინგი და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება;

1.6. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ნარჩენების შემდგომი მართვის მიზნით (გადამუშავება ან/და გაუვნებლობა) ხელშეკრულების გაფორმება შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე ორგანიზაციას(ებ)თან;

1.7. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, საწარმოს ტერიტორიაზე მეხამრიდების დამონტაჟება;

1.8. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის (მონიტორინგის) გეგმის შემუშავება გზშ ანგარიშის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებული იქნება ატმოსფერული ჰაერისა და ხმაურის მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) და დოკუმენტაციის წარმოების საკითხები როგორც საწარმოს, ისე საწარმოდან 500 მეტრით დაშორებულ ტერიტორიაზე, ხოლო შემდგომ გეგმის თანახმად განახორციელოს თვითმონიტორინგი;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში განახორციელოს** და შემდგომ პერიოდულად უზრუნველყოს გამწმენდი სისტემის მუშაობის ეფექტურობის შემოწმება (2009 წლის 5 ნოემბრის №100 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მეორე პირობა);**

3. ვინაიდან ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებისა და წარმადობის გაზრდის ფაქტი (იხ. ადმინისტრაციული მიწერილობის №1 დანართის მე-3 პუნქტი), ხოლო სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 5 აპრილის №154/ს ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების თანახმად, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხში, შპს „ჯეო ცემენტი"-ს ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (წარმადობის 60 000 ტონიდან 120 000 ტონამდე გაზრდა) **დაექვემდებარა** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, შპს „ჯეო ცემენტი" ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში** უზრუნველყოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **სკოპინგის ანგარიშის წარდგენა** (მათ შორის შემოწმების პროცესში გამოვლენილი ცვლილებების გათვალისწინებით).